გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება N9

ქ. სენაკი cpv-კოდი 983000000
8აპრილი 2022 წ.

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2022 წლის 8 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (სახსრების) შესაბამისად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის, ,,ს[1]'' პუნქტის საფუძველზე, დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (ს/ნ 239860147), შემდგომში - შემსყიდველი, წარმოდგენილი თეატრის დირექტორის ირაკლი ადამიას სახით და მეორეს მხრივ, ი/მ თეონა ბიგანაშვილის სახელით, შემდგომში - მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV– 983000000 – სხვადასხვა მომსახურებები კერძოდ, თეატრის საბავშვო სპექტაკლებზე ბილეთების გავრცელება –გაყიდვა და ბავშვთა დასწრების უზრუნველყოფა.

2.2 მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2022 წლის 31დეკემბრისა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 450 (ოთხასორმოცდაათ ლარს.) ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებისთვის შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხის 20%.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მითითებული ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

4.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის გამვალობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი (მიღება–ჩაბარების აქტი) დოკუმენტაციის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.
ბ) მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს შესაბამისი სტანდარტებისა და ნორმების დაცვით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ზუგდიდის შ. დადიანის სახელმწიფო დრამატული თეატრის ადმინისტრაცია;
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის მოცულობის - რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის
მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 იანვრამდე.

13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

„დამქირავებელი“

სსიპ –ქ.სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

TRESGE22

ანგ#GE24LB0330100200165022

მის.სენაკი ჭავჭავაძის 101

დირექტორი: ი.ადამია

LEPL CITY SENAKI PROFESSIONAL STATE DRAMATIC THEATER NAMED AFTER AKAKI KHORAVA

Подписано цифровой подписью: LEPL CITY SENAKI PROFESSIONAL STATE DRAMATIC THEATER NAMED AFTER AKAKI KHORAVA
Дата: 2022.04.11 12:46:04 +04'00'

„დაქირავებული:

ი/მ თეონა ბიგანაშვილი

ს/კ 01019065629

ანგ# GE63BG0000000525833184

მის სენაკი ალექსი ბერის #15

ი/მ თეონა ბიგანაშვილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად „სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი“–ს დირექტორი ზურაბ ეგუტია ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ 2022 წლის 25 თებერვალს N13 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელებაში ი.მ ლელა გრიგოლაია–ს (ს/ნ 19001014498) –ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თეატრის დირექტორი: /ზურაბ ეგუტია/